შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კომპანია და მისი ოპერაციები 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 6
3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი 7
4 გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები 7
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 8
6 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა 19
7 ძირითადი საშუალებები 22
8 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება 23
9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
10 საწესდებო კაპიტალი 24
11 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება 24
12 შემოსავალი 25
13 დისტრიბუციის ხარჯები 25
14 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 25
15 პირობითი ვალდებულებები 25
16 ფინანსური რისკის მართვა 26
17 სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები 29
18 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 30

სხვა ინფორმაცია – მმართველობითი ანგარიშგება – 2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

Building a better working world

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისის" მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისის" (შემდგომში „კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის" („დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების" ჩათვლით) („IESBA კოდექსი") შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები – შედარებადი რიცხვები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის შემოწმდა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც 2020 წლის 22 ივნისს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოთქვა არამოდიფიცირებული მოსაზრება.

Building a better
working world

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს კომპანიის 2020 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება მმართველობით ანგარიშს და ამიტომ მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ სხვა ინფორმაცია და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე დავასკვნით, რომ სხვა ინფორმაცია არსებით უზუსტობას შეიცავს, ჩვენ ვალდებულნი ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, რომ საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური ალტერნატივა.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

Building a better working world

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

Building a better working world

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო გარიგებებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვ საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 26 ოქტომბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	7	1,645	1,870
არამატერიალური აქტივები		31	20
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1,676**	**1,890**
მიმდინარე აქტივები:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		334	507
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	1,405	1,683
სხვა საგადასახადო მოთხოვნები		50	30
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	219	90
სულ მიმდინარე აქტივები		**2,008**	**2,310**
სულ აქტივები		**3,684**	**4,200**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	169	169
გაუნაწილებელი მოგება		585	1,702
სულ საკუთარი კაპიტალი		**754**	**1,871**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
საიჯარო ვალდებულებები		68	40
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**68**	**40**
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		82	53
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11	2,780	2,236
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**2,862**	**2,289**
სულ ვალდებულებები		**2,930**	**2,329**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**3,684**	**4,200**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 26 ოქტომბერი:

გიორგი ერაძე
დირექტორი

5-3გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	12	15,667	20,945
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(11,209)	(16,363)
საერთო შემოსავალი		**4,458**	**4,582**
დისტრიბუციის ხარჯები	13	(4,233)	(3,846)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,138)	(1,442)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(191)	(26)
საოპერაციო ზარალი		**(1,104)**	**(732)**
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე		(13)	(15)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(1,117)**	**(747)**
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის ზარალი		(1,117)	(747)
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული ზარალი		(1,117)	(747)

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 26 ოქტომბერი:

გიორგი ერაძე
დირექტორი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	169	2,449	2,618
წლის ზარალი	–	(747)	(747)
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–
მთლიანი სრული ზარალი	–	(747)	(747)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	169	1,702	1,871
წლის ზარალი	–	(1,117)	(1,117)
სხვა სრული შემოსავალი	–	–	–
მთლიანი სრული ზარალი	–	(1,117)	(1,117)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	169	585	754

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 26 ოქტომბერი:

_____
გიორგი ერამე
დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ათას აშშ დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2020	2019
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,117)	(747)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	7	1,026	809
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია		13	14
ფინანსური ხარჯები		13	15
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის შემობრუნება		(2)	–
ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობით შემცირებული ზარალი		(11)	(4)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		219	26
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**141**	**113**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემცირება/(ზრდა)		96	(552)
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემცირება/(ზრდა)		173	(112)
საგადასახადო მოთხოვნების ზრდა/(შემცირება), წმინდა		(20)	117
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ზრდა		555	1,938
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**804**	**1,391**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**945**	**1,504**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(675)	(1,490)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი		11	41
არამატერიალური აქტივების შეძენა		(24)	(25)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(688)**	**(1,474)**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(111)	(147)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(111)**	**(147)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(17)	(14)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	**90**	**221**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	**219**	**90**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 26 ოქტომბერი:

გიორგი ერაძე
დირექტორი

1 კომპანია და მისი ოპერაციები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისისთვის“ (შემდგომში „კომპანია“).

კომპანია დაფუძნდა 2011 წლის 21 თებერვალს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404888528.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ერთადერთი მფლობელი აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ. ვი. იყო („მშობელი კომპანია“), რომელიც კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიაა.

აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ. ვი. ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიეტუვაში, ყაზახეთში, რაც ერთობლიობაში წარმოადგენს „აი დი ეს ბორჯომი გრუფს“ (შემდგომში „ჯგუფი“). შპს აიდიეს ბორჯომი ჯგუფის ძირითადი საქმიანობა „ბორჯომის“ ბრენდის ქვეშ არსებული ნატურალური მინერალური წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუციაა, აგრეთვე სხვა ნატურალური თუ დამუშავებული წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში. ჯგუფი ამუშავებს ჩამომსხმელ ობიექტებს საქართველოში და სადისტრიბუციო კომპანიებს საქართველოში, ლიეტუვაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. ჯგუფი ლიცენზირებულია ბორჯომის ხეობისა და საქართველოში არსებული სხვა წყაროებიდან მიღებული წყლის გამოყენებაზე.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელ კომპანიას ფლობდა „რისა ინვესთმენთს ელ თი დი“ (კვიპროსი). სი თი ეფ ჰოლდინგს ეს.ეი. – კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს ლუქსემბურგის კანონმდებლობის მიხედვით, არის ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. სი თი ეფ ჰოლდინგს ეს. ეი.-ს არცერთი საბოლოო მოსარგებლე მფლობელი არ აკონტროლებს კომპანიის სააქციო კაპიტალის 25%-ს ან მეტს.

არც კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია და არც საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არ უშვებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს, რომლებიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობა აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ. ვი.-ს ქართული ფილიალისგან, აი დი ეს ბორჯომი ჯორჯიასგან გადასაყიდი საქონლის შეძენა, ბორჯომის ბრენდის მინერალური და უგაზო წყლის საქართველოს ტერიტორიაზე დისტრიბუცია და გაყიდვაა. ამჟამად, კომპანიის საქმიანობა ფარავს საქართველოს ქალაქებისა და რეგიონების შემდეგ ჩამონათვალს:

- თბილისი;
- რუსთავი და ქვემო ქართლი;
- სამცხე-ჯავახეთი;
- შიდა ქართლი;
- აჭარა, ქობულეთის რაიონის გამოკლებით;
- მცხეთა-მთიანეთი.

კომპანიის კლიენტები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად: საცალო ვაჭრობა, თანამედროვე ვაჭრობა, ჰორეკა, საბითუმო ვაჭრობა და ა. შ.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #25. საქმის წარმოების ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ქინძმარაულის ქ. #5.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას დოლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია საქმიანობას ძირითადად საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის ინფლაციის შედარებით მაღალი დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და ფულად-საკრედიტო ზომებზე, ისევე, როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე აქტივები მის მიმდინარე ვალდებულებებს 854 აშშ დოლარით აღემატებოდა (2019 წ.: მიმდინარე აქტივები 21 აშშ დოლარით აღემატებოდა მიმდინარე ვალდებულებებს). მიმდინარე ვალდებულებების ძირითადი კომპონენტია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ არსებული დავალიანება. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წმინდა მიმდინარე პოზიცია მესამე მხარეების მიმართ დადებითი იყო და შეადგენდა 1,560 აშშ დოლარს (2019 წ.: 1,887 აშშ დოლარი).

ხელმძღვანელობამ მშობელი კომპანიისგან მიიღო 2021 წლის 22 სექტემბრით დათარიღებული წერილი, რომლითაც მშობელი კომპანია ადასტურებს, რომ არ მოითხოვს თანხების გადახდა პირდაპირ თუ შვილობილი კომპანიების მეშვეობით, თუ ეს გადახდა კომპანიისთვის საზიანო იქნება. ამ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების მთლიანი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,413 აშშ დოლარს შეადგენდა (2019 წ.: 1,866 აშშ დოლარი).

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. მომზადების ეს საფუძველი აკეთებს დაშვებას, რომ მიმდინარე ვალდებულებების გადახდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის არ იქნება მოთხოვნილი მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან, თუკი აღნიშნული გადახდა კომპანიას დააზიანებს და მშობელი კომპანია ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩენს კომპანიას, თუკი ამის საჭიროება შეიქმნება, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

COVID-19-ის გავლენა

პანდემიაზე რეაგირების მიზნით საქართველოს მთავრობამ შემოიღო მრავალი ზომა, რომლებიც მიზნად ისახავდა COVID-19-ის გავრცელებისა და გავლენის შეკავებას. ამ ზომებს შორის იყო: აკრძალვები მოგზაურობაზე და შეზღუდვები, მასობრივი ჩაკეტვები და ბიზნესსაქმიანობის აღკვეთა, ბიზნესები დახურვის ჩათვლით. ზემოაღნიშნული ზომები ძალაში დარჩა თითქმის მთელი 2020 წლის განმავლობაში. ამ ზომებმა, სხვა შედეგებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა და უარყოფითად იმოქმედა (და შეიძლება მომავალშიც იმოქმედოს) ბიზნესებზე, ბაზრის მონაწილეებზე, კომპანიის კლიენტებზე, ასევე საქართველოს და გლობალურ ეკონომიკაზე განუსაზღვრელი ვადით.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

კომპანიამ მხედველობაში მიიღო მომავლის შესახებ ხელმისაწვდომი სრული ინფორმაცია, მათ შორის COVID-19-ის პანდემიის გავლენა მომხმარებლებზე, მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე, და ასევე განიხილა სხვადასხვა ფაქტორების ფაქტობრივი და პროგნოზირებული განჭვრეტადი გავლენა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა საჭირო ზომას იღებს კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად და გააგრძელებს სიტუაციის ყურადღებით მონიტორინგს, და დამატებითი ზომების საჭიროების შეფასებას იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის შეფერხება გაგრძელდება, ან უფრო დამძიმდება.

3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფასს-თან შესაბამისობის დეკლარაცია – ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ზოგიერთ მუხლისა, რომლებიც განხილულია მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკაში (5 შენიშვნა). ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას. ის საკითხები, რომლებიც საჭიროებს განსჯის შედარებით მაღალ დონეს ან ხასიათდება სირთულით, ან ის საკითხები, რომელთა შემთხვევაშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანია დაშვებები და წინასწარი შეფასებები, წარმოდგენილია 4 შენიშვნაში.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა – კომპანიის სამუშაო ვალუტაა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი (აშშ დოლარი). ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია აშშ დოლარში, რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

4 გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში. წინასწარი შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას, არსებულ გარემოებებსა და პროგნოზებს, რომლებიც მიიჩნევა აქტუალურად და საკმარისად სარწმუნოდ. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს წინასწარი შეფასებებისგან.

განსჯა – ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

სამუშაო ვალუტა – კომპანიის სამუშაო ვალუტის დასადგენად განსჯა იქნა გამოყენებული. ჯგუფის ქართული საწარმოების, მათ შორის, შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისის“ სამუშაო ვალუტად განისაზღვრა აშშ დოლარი იმის საფუძველზე, რომ ა) საწარმოები მნიშვნელოვნად ურთიერთდაკავშირებულია და ისინი ერთ ბიზნესად უფრო მუშაობენ, ვიდრე ავტონომიურად; ბ) მეორადი მაჩვენებლები გამოყოფს აშშ დოლარს, ვინაიდან ფინანსური საქმიანობის უმეტესი ნაწილი და ფულადი სახსრების შენარჩუნება აშშ დოლარში ხდება. სხვა სამუშაო ვალუტის შერჩევის შემთხვევაში, საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/ზარალი სხვაგვარი იქნებოდა.

4 გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა და შეფასების უზუსტობის ძირითადი მიზეზები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები – შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა ამ შეფასების გადახედვა, თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება – გაუფასურება ხდება მაშინ, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესს. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება გამოიანგარიშება ანალოგიური აქტივების გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული გაყიდვის გარიგებებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ან საბაზრო ფასების მიხედვით, რასაც აკლდება აქტივის გასხვისებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები. გამოყენების ღირებულების გაანგარიშება ხდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით. ფულადი ნაკადები მიიღება მომდევნო ხუთი წლის ბიუჯეტიდან და არ მოიცავს რესტრუქტურიზაციას, რომელთა ვალდებულებაც კომპანიას ჯერ არ აუღია ან მნიშვნელოვან სამომავლო ინვესტიციებს, რომლებიც გააუმჯობესებს შემოწმებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების ეფექტურობას.

აღდგენითი ღირებულება მგრძნობიარეა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელისთვის გამოყენებული დისკონტირების განაკვეთის, ასევე მოსალოდნელი შემომავალი ფულადი ნაკადებისა და ექსტრაპოლაციის მიზნებისთვის გამოყენებული ზრდის ტემპის მიმართ. ეს შეფასებები ძირითადად შეეხება გუდვილსა და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომელთა სასარგებლო გამოყენების სასრული ვადები აღიარებულია კომპანიის მიერ.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები – კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია სხვა ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

2020 წლის 1 იანვრიდან შემდეგი ცვლილებები ამოქმედდა, მაგრამ კომპანიაზე რამე არსებითი გავლენა არ მოუხდენიათ:

- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „საწარმოს განმარტება“
- ცვლილებები ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 9-ში და ბასს (IAS) 39-ში „საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება“
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „ტერმინ „არსებითის“ განმარტება“.
- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, გამოშვებული 2018 წლის 29 მარტს
- ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები – გარიგებები ისეთ ვალუტებში, რომლებიც განსხვავდება სამუშაო ვალუტისგან, თავდაპირველად აღირიცხება, როგორც გარიგების თარიღებისთვის არსებული სავალუტო კურსები. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები სამუშაო ვალუტად კონვერტირდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ გაცვლითი კურსებით. საკურსო სხვაობებიდან წარმომდგარი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი, მათ შორის ის შემოსულობა და ზარალი, რომელიც უკავშირდება ნასესხებ სახსრებს და ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა მუხლს, აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში წმინდა საფუძველზე წმინდა საკურსო (ზარალის)/შემოსულობის სტრიქონში. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით გადაყვანა არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები – სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ტრანსაქცია ხორციელდება ან აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

გარიგების დანახარჯები არის ზღვრული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შესყიდვას, გამოშვებას ან გასხვისებას. ზღვრული ხარჯი ისეთი ხარჯია, რომელიც არ გაიწეოდა, გარიგება რომ არ შემდგარიყო. გარიგების დანახარჯებში შედის აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც გაყიდვების აგენტების ფუნქციას ასრულებენ), ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილი საკომისიო. ისინი ასევე მოიცავს მარეგულირებელი ორგანოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟების მოსაკრებლებს და აქტივების გადაცემისთვის დაწესებულ გადასახადებსა და მოსაკრებლებს. სავალო ინსტრუმენტების პრემიები თუ დისკონტები, ფინანსური დანახარჯები ან შიდა ადმინისტრაციული თუ ფლობის ხარჯები არ არის გარიგების დანახარჯები

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება ფასდება თავდაპირველი აღიარებისას, გამოკლებული ძირითადი თანხის შენატანები, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ თანხასა და ვადის ბოლოს არსებულ თანხას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დაგროვილი ამორტიზაცია, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, კორექტირებული ზარალის რეზერვის შესაბამისად.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის) მისაღებად საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან შემოდინებების (სამომავლო საკრედიტო ზარალების გამოკლებით) დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელ ვადაზე ან, თუ მართებულია, უფრო ხანმოკლე პერიოდზე, ფინანსური ინსტრუმენტის საერთო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის მომდევნო გადაფასების თარიღამდე, გარდა პრემიისა თუ დისკონტისა, რომელიც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის ცვალებად განაკვეთზე ან სხვა ცვლადებზე, რომლებიც საბაზრო განაკვეთების მიხედვით არ კორექტირდება. ასეთი პრემიებისა და დისკონტების ამორტიზაცია ხდება ინსტრუმენტის მთლიან მოსალოდნელ ვადაზე. დისკონტირებული (დღევანდელი) ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა საკომისიოს, რომლებიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – აღიარება და შეფასება – კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

სავაჭრო მოთხოვნების გამოკლებით (როგორც აღნიშნულია ამ შენიშვნის შესაბამის აბზაცში), თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, მიმატებული ან გამოკლებული, ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვასა თუ გაცემას.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თავდაპირველ აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის აღიარება ხდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები – კომპანია ფინანსურ აქტივების შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომელიც გამოიყენება შესაბამისი აქტივების პორტფელის მართვისთვის და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შეფასება – ბიზნესმოდელი – ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნესმოდელში და შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნესმოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნესმოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ფასდება აქტივების შედეგიანობა და როგორ ხდება მენეჯერების კომპენსაცია.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნესმოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას (“SPPI”).

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულებასთან შეუსაბამოა, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობილი აქტივები, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული აქტივი წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და ფინანსური აქტივების გასაყიდად გამიზნული აქტივები, თუ ამ აქტივების ფულადი ნაკადები მოიცავს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნესმოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნესმოდელის შეცვლის შემდეგ პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნესმოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია საპროგნოზო საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ფასს 9-ით ნებადართულ გამარტივებულ მეთოდს მიმართავს, ანუ იყენებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის რეზერვს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების ზოგად მოდელს, რომელიც ეფუძნება თავდაპირველი აღიარების შემდეგ ცვლილებებს საკრედიტო ხარისხში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა – ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა – კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადა სხვაგვარად გაუვიდა, ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო აქტივის გადაცემის ხელშეკრულება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

გადაცემულ აქტივზე კონტროლი ნარჩუნდება, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

5. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები – გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც მიიღება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არსებობს მინიშნება, რომ შესაძლოა ვერ იქნეს მიღებული გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები – ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაბრები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში, გზაში მყოფ ფულად სახსრებს და მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ანაბრებს სამ თვემდე ვადით, რომელთა კონვერტაცია ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი გარკვეულ თანხად და რომელთა ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკი არსებობს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება – თავდაპირველი აღიარებისას კომპანია სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას აფასებს მათი გარიგების ღირებულებით, როდესაც სავაჭრო დებიტორული დავალიანება არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარება და შეფასება – ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა, რომელთა შორისაცაა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, სავაჭროდ განკუთვნილი ფინანსური ვალდებულებები (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობითი ანაზღაურება, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას; და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსურ ვალდებულებებში შედის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, სესხები და გადასახდელი ანგარიშები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა – ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალურ ოპერაციას.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. აღნიშნული ურთიერთგაქვითვის უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალში რამე კონკრეტულ მოვლენაზე და (ბ) უნდა იყოს სამართლებრივად აღსრულებადი ყველა ქვემოთ მოყვანილ გარემოებაში: (i) ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, (ii) ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები – სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ნედლეულის და მასალების შესყიდვის ფასს და, სადაც მიზანშეწონილია, შრომით დანახარჯებსა და შესაბამის ზედნადებ ხარჯს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება, როგორც ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობიდან დადგენილი გასაყიდი ფასით, შემცირებული დასრულებისათვის საჭირო დანახარჯებითა და გაყიდვის ხარჯებით. სათადარიგო ნაწილები წარმოდგენილია ერთჯერადი გამოყენების სათადარიგო ნაწილებით, რომლებიც განსაზღვრულია ტექნიკური მომსახურებისთვის, აღდგენისთვის და აღჭურვილობის კაპიტალური რემონტისთვის.

ყოველ საანგარიშო პერიოდზე და უფრო ხშირადაც, თუ ეს საჭიროა, კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს და აფასებს სათადარიგო ნაწილების და სხვა მსგავსი აქტივების წარდგენას, როგორც ძირითადი საშუალებებისა, სხვა გრძელვადიანი აქტივების და მარაგების წარდგენას, რომელიც დამოკიდებულია სამომავლოდ მსგავსი აქტივების მოსალოდნელ გამოყენებაზე.

ძირითადი საშუალებები – ძირითადი საშუალებები აღრიცხულია პირვანდელი ღირებულება, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ძირითადი საშუალებების ერთეულის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შესყიდვის ფასს, იმპორტის გადასახადისა და შესყიდვის არადაბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სავაჭრო შეღავათებისა და ფასდაკლებების გამოქვითვის შემდეგ; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ ემსახურება ერთეულის იმ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მოყვანას, რომელიც საჭიროა მისი ფუნქციონირებისთვის იმ მიზნით, რომელიც განუზრახავს კომპანიის ხელმძღვანელობას; (გ) ერთეულის დემონტაჟისა და მოხსნის, ასევე ობიექტის, რომელზეც ის მდებარეობს, აღდგენის დანახარჯების პროგნოზებს; ვალდებულებას, რომელსაც საწარმო თავის თავზე იღებს ან ერთეულის შეძენისას ან ერთეულის გარკვეული დროით გამოყენების შედეგად ისეთი მიზნობრიობით, რომელიც განსხვავდება მარაგების წარმოებისგან აღნიშნულ პერიოდში; და (დ) განსაკუთრებული აქტივების შემთხვევაში, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით კაპიტალიზებულ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით აშენებული აქტივების თვითღირებულებაში შედის მასალის თვითღირებულება, პირდაპირი შრომითი დანახარჯები და საწარმოო ზედნადები ხარჯების შესაბამისი წილი.

კაპიტალიზებული დანახარჯები შეიცავს გაუმჯობესების და შეცვლის მასშტაბურ ხარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადას და ზრდის მათ შემოსავლიანობას. შეკეთების და ტექნიკურ-სამეურნეო ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმს, აისახება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება, რომელსაც აკლდება მისი ნარჩენი ღირებულება. ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც საწარმო ამჟამად მიიღებდა ამ ძირითადი საშუალებების ერთეულის გაყიდვით, გაყიდვის სავარაუდო ხარჯების გამოკლების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს.

მიწისა და მიმდინარე მშენებლობის ცვეთა არ ხდება ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოანგარიშდება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

შენობები	3-50 წელი
მანქანა-დანადგარები	2-18 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-10 წელი
მერჩენდაიზინგი და საოფისე აღჭურვილობა	2-5 წელი

ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის მეთოდის გადახედვა ყოველწლიურად ხდება. წინა შეფასებებიდან ნებისმიერი ცვლილების ეფექტი აღირიცხება, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის გასხვისების ან ექსპლუატაციიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან ამონაგებ თანხასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა წარმოადგენს ძირითადი საშუალებების თვითღირებულებას, რომლებიც ჯერ არ არის დასრულებული ან ექსპლუატაციისთვის ხელმისაწვდომი, ანუ როდესაც არ არის იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, რაც საჭიროა მისი ფუნქციონირებისთვის ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება — ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადახედავს თავისი მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის აღდგენითი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები დაჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომლისთვისაც არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები).

აღდგენითი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი აღდგენითი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შემობრუნების აღიარება დაუყოვნებლივ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები – ანარიცხები არის დაუზუსტებელ ვადებსა და თანხებზე აღებული ვალდებულებები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. თუ კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

ანარიცხები სხვა ვალდებულებებისგან, მაგალითად, სავაჭრო კრედიტორული დავალიანებისგან და დარიცხვებისგან გამიჯნულია, რადგან არსებობს განუსაზღვრელობა დაფარვისთვის საჭირო მომავალი დანახარჯების დროისა თუ ოდენობის შესახებ. ანარიცხების გაცხადება განცალკევებით ხდება.

საწესდებო კაპიტალი – კომპანიის თავდაპირველი საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის საწესდებო კაპიტალში უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები – საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოცხადებული და დამტკიცებული დივიდენდები კაპიტალიდან გამოიქვითება პერიოდის განმავლობაში და მათი აღიარება ხდება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების სახით (გადახდამდე). საანგარიშგებო თარიღის შემდეგ გამოცხადებული, მაგრამ ფინანსურ ანგარიშგებამდე გამოსაშვებად დამტკიცებული დივიდენდების აღიარება არ ხდება ვალდებულებად საანგარიშგებო თარიღისთვის, მაგრამ აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

შემოსავლის აღიარება – შემოსავალი არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. კომპანია შესაბამისი აღიარების კრიტერიუმებს იყენებს ხელშეკრულებისთვის, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულების კონტრაჰენტი კლიენტია. კლიენტი არის მხარე, რომელსაც საწარმოსთან ხელშეკრულება აქვს დადებული საქონლის ან მომსახურების მიღებაზე, რომელიც წარმოადგენს საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროდუქტს, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ.

კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც იგი აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას კლიენტისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივი გადაიცემა მაშინ (ან როგორც კი) კლიენტი მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე.

შემოსავლის აღიარება ხდება გარიგების ფასით, რომელიც განაწილებულია სახელშეკრულებო პირობის შესრულების შესაბამის ვალდებულებაზე. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის კლიენტისთვის დაპირებულ საქონელზე კონტროლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარეების სახელით მიღებული თანხებისა. შემოსავალი აღიარდება ფასდათმობების, დღგ-ის გარეშე და ასევე, საჭიროების შემთხვევაში: საექსპორტო მოსაკრებლისა და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; სავაჭრო კრედიტორული დავალიანების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის სავაჭრო კრედიტორული დავალიანება არაუზრუნველყოფილია და ძირითადად უკავშირდება დაკავშირებული მხარეებისგან შესყიდული საქონლის გადაყიდვას.

საქონლის რეალიზაცია – კომპანია იძენს გადასაყიდ საქონელს დაკავშირებული მხარისგან და ახორციელებს მის დისტრიბუციას ადგილობრივ ბაზარზე (1 შენიშვნა). კომპანიის კლიენტები შესაძლებელია დაიყოს: ტრადიციულ ვაჭრობას თანამედროვე ვაჭრობას, ოფისებს, საოჯახო კლიენტებს შორის. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი ტრანსპორტირებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა, და ან მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების ვადა ამოწურულია, ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

კომპანიის გაყიდვების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდება ან საავანსო გადახდის ან პროდუქციაზე კონტროლის გადაცემის მომენტში ანგარიშსწორების პირობით. გარკვეულ შემთხვევებში, ანგარიშსწორება შეიძლება გადავადდეს, თუმცა გადავადება არასოდეს სცილდება 12 თვეს, შესაბამისად, დაფინანსების კომპონენტი არ ითვლება არსებითად და გარიგების ფასი არ არის დაკორექტირებული დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის გათვალისწინებით.

დებიტორული დავალიანების აღიარება ხდება საქონლის მიწოდების დროს, ვინაიდან ეს ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც საზღაური უპირობოა, რადგან გადახდის ვადის მოსვლისთვის გარკვეული დროის გასვლაა საჭირო.

საპროცენტო შემოსავალი – ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება ხელშეკრულების მხარეებს შორის მიღებული ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის საერთო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა (მე-3 სტადია), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზებულ ღირებულებაზე.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები. ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია საპენსიო ან მსგავსი გადახდების განხორციელების სამართლებრივი ან არაკონტრაქტული ვალდებულება.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა – კომპანია, როგორც მოიჯარე – კომპანია იჯარით გასცემს საწყობებსა და საოფისე ფართს. ქირავნობის ხელშეკრულებები ფიქსირებულ პერიოდებზე ფორმდება 1-5 წლით, მაგრამ შესაძლებელია ჰქონდეთ გაგრძელების არჩევანის უფლებაც. იჯარის პირობებზე მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურად და მოიცავს სხვადასხვა პირობების და მდგომარეობების ფართო სპექტრს. საიჯარო ხელშეკრულებებით არ ხდება შეთანხმების პირობების დაკისრება, მაგრამ იჯარით გადაცემული აქტივებია შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც სესხის უზრუნველყოფა. იჯარა აღიარდება აქტივის გამოყენების უფლებით და როგორც შესატყვისი ვალდებულება იმ თარიღით, როდესაც იჯარით გადაცემული აქტივი კომპანიის მიერ გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია. ყოველი იჯარის გადახდა გადანაწილდება ვალდებულებას და საფინანსო ხარჯებს შორის.

ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უფრო ხანმოკლე პერიოდზე. იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასება თავდაპირველად ხდება მათი დისკონტირებული ღირებულების საფუძველზე. იჯარის ვალდებულებები მოიცავს შემდგომი იჯარის გადახდების წმინდა დღევანდელ ღირებულებას, მათ შორის: ფიქსირებული გადახდები (მოიცავს არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებული ნებისმიერი მისაღები საიჯარო შეღავათით; ინდექსზე ან განაკვეთზე დაფუძნებული იჯარის ცვლადი გადახდები; თანხები, რომელიც მოიჯარის მიერ არის გადასახდელი ნარჩენი ღირებულების გარანტიით; შეძენის ოფციონის რეალიზაციის ფასი, თუ მოიჯარე საკმარისად დარწმუნებულია, რომ აპირებს ამ ოფციონის გამოყენებას, და იჯარის შეწყვეტისთვის დაკისრებული ჯარიმების გადახდა, თუ იჯარის პირობები ასახავს მოიჯარის მიერ ამ ოფციონის გამოყენებას. საიჯარო გადახდები დისკონტირდება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ შეიძლება განაკვეთის განსაზღვრა, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით.

აქტივები გამოყენების უფლებით ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს: იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხას; ნებისმიერ იჯარის გადახდას, რომელიც განხორციელდა დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული იჯარის წახალისებით; ნებისმიერ თავდაპირველ პირდაპირ ხარჯებს და აღდგენის ხარჯებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ყველა იჯარა წრფივი მეთოდით აღირიცხება ხარჯად მოგებაში ან ზარალში. მოკლევადიანი იჯარები არის 12-თვიანი ან ნაკლები ვადის მქონე იჯარები. იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებები ასახულია კომპანიის მთელ რიგ ძირითადი საშუალებების იჯარის ხელშეკრულებებში. ეს პირობები გამოყენებულია საოპერაციო მოქნილობის მაქსიმიზაციისთვის ხელშეკრულებების მართვისას. იჯარის გაგრძელების და ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებების გამოყენება შეუძლია მხოლოდ კომპანიას და არა შესაბამის მეიჯარეს.

იჯარის პირობის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა ფაქტსა და გარემოებას, რომელიც განაპირობებს ვადის გაგრძელების არჩევანის უფლების გამოყენების და არა იჯარის შეწყვეტის უფლების გამოყენების ეკონომიკურ სტიმულს. იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (ან იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენების შემდგომი პერიოდი) იჯარის პირობებში აისახება მხოლოდ მაშინ, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება). შეფასება გადაიხედება, თუ მოხდება რამე მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოების მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც ამ შეფასებაზე გავლენას მოახდენს და რაც მოიჯარის კონტროლის ფარგლებშია.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დარჩენილი საიჯარო გადახდების ცვლილება – კომპანია განიხილავს თავის დარჩენილ საიჯარო გადახდებს (ფიქსირებული გადახდები (მათ შორის, არსებითად ფიქსირებული გადახდები), შემცირებულს მისაღები საიჯარო შეღავათით; ცვალებად საიჯარო გადახდებს, რომლებიც ემყარება ინდექსს ან განაკვეთს; ნარჩენი ღირებულების გარანტიების ფარგლებში მოიჯარის მიერ გადასახდელ თანხებს და იჯარის შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდებს (თუ იჯარის პირობებში ასახულია მოიჯარის მიერ ამ ოფციონის გამოყენება) ყოველწლიურად და შესაბამისად აკორექტირებს აქტივებს გამოყენების უფლებით და დარჩენილ საიჯარო ვალდებულებებს.

აღნიშნული განხილული საიჯარო გადახდები დისკონტირდება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით განხილვის თარიღით, თუ ესა თუ ის მოდიფიცირება გამოწვეულ იქნა იჯარის ვადის ან შესყიდვის ოფციონის გამოყენების ფასის ცვლილებით. თუ საიჯარო გადახდების ცვლილებები გამოწვეულ იქნა ნარჩენი ღირებულების გარანტიით ან განაკვეთთან დაკავშირებული ცვალებადი საიჯარო გადახდების ცვლილებებით, ინდექსით ან საბაზრო ფასით, მაშინ კომპანია იყენებს საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევ საპროცენტო განაკვეთს, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შესაძლებელია, ან კომპანიის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

საკურსო სხვაობები საიჯარო შეთანხმების მოდიფიკაციად არ მიიჩნევა. ისინი განიხილება, როგორც საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობები (ზარალი), რომელიც მოგება-ზარალში აღიარდება. კომპანია რეგულარულად ახორციელებს საიჯარო ვალდებულებების გადაფასებას სავალუტო სხვაობების ნებისმიერი ეფექტის ასახვის მიზნით, იჯარაში ნაგულისხმევი თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთის, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შესაძლებელია, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით.

მოგებიდან გადასახადები – მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ამ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ამოქმედებული ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა ‘აგროსილ’ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები ‘აიგროსება’ შემადგენელი 5%-იანი დაკავებული გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან – აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, დაუყოვნებლივ დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება მუხლში „გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა“ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსი – კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ეჭვქვეშ დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს. განუსაზღვრელი მოგების გადასახადის სტატუსის კორექტირება, გარდა საურავისა და ჯარიმისა, აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი. განუსაზღვრელი მოგების გადასახადის პოზიციების კორექტირებები საურავთან და ჯარიმასთან მიმართებით, შესაბამისად, აღირიცხება ფინანსურ დანახარჯებში და სხვა საოპერაციო ხარჯებში, წმინდა სახით.

დამატებული ღირებულების გადასახადი – გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო უწყებებისთვის გადახდა უნდა მოხდეს (ა) კლიენტების მიმართ არსებული დებიტორული დავალიანების მიღებისას ან (ბ) საქონლის ან მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისას, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად მიიღება გადასახდელი დღგ-ს საფუძველზე, დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ 5-10 წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახადში, მოგების გადასახადის ჩათვლით და ყველა გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო გადახდა აღირიცხებოდა საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე. საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების მიღებული ნაშთები აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში „სხვა საგადასახადო მოთხოვნებში, წმინდა“.

6 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის გარკვეული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ასევე სტანდარტებში შესული ცვლილებები იყო გამოსული, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (გამოშვებული 2017 წლის მაისში და ძალაში შესული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ჯერ არ მიუღია ევროკავშირს). 2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით.

6 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.

ცვლილებები ფასს 17-ში და ფასს 4-ში, ფასს ცხრის სადაზღვევო ხელშეკრულებების გადავადება (ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, მიღებულია ევროკავშირის მიერ). ეს ცვლილებები გადაავადებს ფასს 17-ის გამოყენებას 2 წლით, 2021 წლის 1 იანვრამდე და ცვლის ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენებიდან დროებითი გამონაკლისისთვის ფიქსირებულ თარიღს ფასს 4-ში 2023 წლის 1 იანვრით.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად – (გამოშვებული 2020 წლის იანვარში და ამოქმედებული 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ჯერ არ მიუღია ევროკავშირს). ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს, რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებით; რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო გამოიყენებს გადავადების უფლებას: რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თვითონ არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების ვადები რა აისახება მის კლასიფიკაციაზე. აღნიშნული ცვლილება გამოიყენება უკუქცევითი ძალით (რეტროსპექტულად).

კონცეპტუალური საფუძვლების მითითება – ცვლილება ფასს 3-ში (გამოშვებული 2020 წლის მაისში და ძალაში მყოფი 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, ჯერ არ არის მიღებული ევროკავშირის მიერ).ბასსს-მა გამოუშვა შესწორებები

ფასს 3-ში „საწარმოთა გაერთიანება“ –“კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“. შესწორებების მიზანია „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლების“, რომელიც 1989 წელს გამოიცა, მითითების ჩანაცვლება 2018 წლის მარტში გამოშვებული „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების“ მითითებით, მის მოთხოვნებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. საბჭომ ასევე დაამატა გამონაკლისი ფასს 3-ის აღიარების პრინციპიდან, რათა თავიდან აერიდებინა ვალდებულებებთან ან პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური „მეორე დღის“ შემოსულობის ან ზარალის საკითხი, რომელიც ცალ-ცალკე მოექცეოდა ბასს 37-ის ან ფასიკ 21-ის „მოსაკრებლები“ მოქმედების არეალში. ამავდროულად, საბჭომ გადაწყვიტა განემარტა ფასს 3-ში არსებული მითითება პირობითი აქტივების შესახებ, რაზეც არ იმოქმედებდა „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლების“ მითითების ჩანაცვლება. ცვლილებები მოქმედებს პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე – ცვლილებები ბასს 16-ში (გამოშვებული 2020 წლის მაისში და ძალაში მყოფი 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, ჯერ არ არის მიღებული ევროკავშირის მიერ). ბასსს-მ გამოუშვა „ძირითადი საშუალებები - შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე“. ამ შესწორების მიხედვით, საწარმოებს ეკრძალებათ ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულებიდან გამოქვითონ ნებისმიერი შემოსავალი ერთეულების გაყიდვიდან, რომელიც წარმოიქმნება ამ აქტივის ისეთ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც საჭიროა ხელმძღვანელობისთვის სასურველი მიზნით მის გამოსაყენებლად. ამის ნაცვლად, საწარმო ასეთი ერთეულების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს და ამ ერთეულების წარმოების თვითღირებულებას აღიარებს შემოსავალში ან ზარალში.

6 სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

შესწორება ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და რეტროსპექტულად ვრცელდება ძირითადი საშუალებების იმ ერთეულებზე, რომლებიც ექსპლუატაციისთვის მზად არის საწარმოს მიერ ამ შესწორების პირველად გამოყენებისას წარმოდგენილი უადრესი პერიოდის საწყისი ან მის შემდგომი თარიღიდან.

წამგებიანი კონტრაქტები – კონტრაქტის შესრულების ხარჯები – ცვლილებები ბასს 37-ში (გამოშვებული 2020 წლის მაისში და ძალაში მყოფი 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, ჯერ არ არის მიღებული ევროკავშირის მიერ). ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 37-ში, რათა დაეკონკრეტებინა რომელი დანახარჯები უნდა გაითვალისწინოს საწარმომ იმის შეფასებისას, ხელშეკრულება წამგებიანია თუ ზარალიანი. ცვლილება იყენებს „პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯის მიდგომას". ის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის ან მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებას, მოიცავს როგორც ნაზარდ დანახარჯებს, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების განაწილებას. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები პირდაპირ არ უკავშირდება ხელშეკრულებას და გამოირიცხება, თუკი ისინი აშკარად არ ეკისრება კონტრაჰენტს ხელშეკრულების თანახმად.

ფასს 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება" – შვილობილი კომპანია, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს (ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, ჯერ არ მიუღია ევროკავშირს). ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლების წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა შესწორება ფასს (IFRS) 1-ში „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება". ცვლილება შვილობილ კომპანიას, რომელიც გადაწყვეტს გამოიყენოს ფასს 1-ის d16(ა) მუხლი, უფლებას აძლევს, კუმულაციური საკურსო სხვაობა შეაფასოს მშობელი კომპანიის მიერ გაცხადებული თანხებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის მიხედვით. ეს ცვლილება ასევე გამოიყენება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებზე, რომლებიც არჩევენ ფასს 1-ის d16 (ა) მუხლის გამოყენებას.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები" –ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის" ტესტში მოყვანილი საკომისიოები (ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, ჯერ არ მიუღია ევროკავშირს). ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის შესწორება. ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებელსა და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის ცვლილება - მეორე ფაზის ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში და ფასს 7-ში, ფასს 4-სა და ფასს 16-ში (ძალაში შესული 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, მიღებულია ევროკავშირის მიერ). მეორე ფაზის ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების გატარების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის შეცვლას ალტერნატიული კრიტერიუმით.

თუ ზემოთ სხვა რამე არ არის მითითებული, ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	მარკეტინგის და მერჩენდაიზინგის აღჭურვილობა	საოფისე ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	სულ
თვითღირებულება:							
1 იანვარი, 2019 წ.	**338**	**89**	**1,877**	**-**	**132**	**29**	**2,465**
შემოსვლები	–	1	339	1,120	30	–	1,490
გასვლები	–	–	(47)	–	–	(29)	(76)
31 დეკემბერი, 2019 წ.	**338**	**90**	**2,169**	**1,120**	**162**	**-**	**3,879**
შემოსვლები	56	83	287	313	18	44	801
გასვლები	–	(28)	(52)	–	(3)	-	(83)
31 დეკემბერი, 2020 წ.	**394**	**144**	**2,404**	**1,433**	**177**	**44**	**4,597**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი:							
1 იანვარი, 2019 წ.	**(100)**	**(48)**	**(994)**	**-**	**(97)**	**–**	**(1,239)**
ცვეთის ხარჯი	(109)	(9)	(278)	(395)	(18)	–	(809)
გასვლები	–	–	39	–	–	–	39
31 დეკემბერი, 2019 წ.	**(209)**	**(57)**	**(1,233)**	**(395)**	**(115)**	**–**	**(2,009)**
ცვეთის ხარჯი	(112)	(13)	(289)	(590)	(22)	–	(1,026)
გასვლები	–	28	52	–	3	–	83
31 დეკემბერი, 2020 წ.	**(321)**	**(42)**	**(1,470)**	**(985)**	**(134)**	**–**	**(2,952)**
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2019 წ.	**129**	**33**	**936**	**725**	**47**	**–**	**1,870**
2020 წლის 31 დეკემბერი	**73**	**103**	**934**	**448**	**43**	**44**	**1,645**

კომპანია წარმოადგენს თანამსესხებელს და გარანტორს აი დი ეს ბორჯომი ჯგუფის საწარმოების მიერ ნასესხები სახსრებისთვის და ამასთან დაკავშირებული გარკვეული შეთანხმებების მონაწილეა. ამ პირობების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს დეფოლტის შემთხვევა, რამაც შესაძლოა შესაბამის გამსესხებლებს მისცეს ამ სესხების ადრეულად დაფარვის მოთხოვნის უფლება. 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საწარმოებს არ დაურღვევიათ შეთანხმების პირობები. კომპანიის მთლიანი ძირითადი საშუალებების ერთეულები დაგირავებულია ზემოაღნიშნული ნასესხები სახსრების უზრუნველსაყოფად.

კომპანიას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები შენობების, ავტომობილების და სხვა აღჭურვილობის სხვადასხვა ერთეულისთვის, რომლებსაც თავის საქმიანობაში იყენებს. შენობებისა და აღჭურვილობის იჯარას, როგორც წესი, აქვს 2-დან 3 წლამდე იჯარის ვადა, ხოლო სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა აღჭურვილობას, როგორც წესი, აქვს 2-დან 5 წლამდე იჯარის ვადა.

7 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლების მოძრაობა, რომელიც ასახულია ძირითადი საშუალებების ნაშთებში, ასე გამოიყურება:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	სატრან-სპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება:			
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	336	–	336
შემოსვლები	–	–	–
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	336	–	336
შემოსვლები	34	92	126
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	370	92	462
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი:			
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(100)	–	(100)
წლის დანარიცხი	(109)	–	(109)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(209)	–	(209)
წლის დანარიცხი	(111)	(11)	(122)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(320)	(11)	(331)
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50	81	131
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	127	–	127

8 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2020	2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,369	1,581
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(19)	(21)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	1,350	1,560
გადახდილი ავანსები	55	123
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,405	1,683

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება ლარში იყო გამოხატული.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო დებიტორული დავალიანება დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების და ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით ბოლო სამი წლის განმავლობაში. საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო ანგარიშების მოთხოვნებისთვის 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

31 დეკემბერი, 2020 წ.	ზარალის მაჩვენებელი	საერთო ღირებულება	აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
- არა ვადაგადაცილებული	0.11%	929	(1)	928
- 90-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული	0.73%	272	(2)	270
- 90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	3.16%	63	(2)	61
- 181-დან 365 დღემდე ვადაგადაცილებული	5.97%	34	(2)	32
- 365 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	16.65%	71	(12)	59
სულ სავაჭრო დებიტორული ანგარიშები		1,369	(19)	1,350

8 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2019 წ.	ზარალის მაჩვენებელი	საერთო ღირებულება	აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
- არა ვადაგადაცილებული	0.16%	1,258	(2)	1,256
- 90-ზე ნაკლები დღით ვადაგადაცილებული	3.73%	241	(9)	232
- 90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილებული	3.01%	66	(2)	64
- 181-დან 365 დღემდე ვადაგადაცილებული	48.93%	16	(8)	8
- 365 დღეზე მეტით ვადაგადაცილებული	-	–	–	–
სულ სავაჭრო დებიტორული ანგარიშები		1,581	(21)	1,560

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა ასეთია:

	2020	2019
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	21	11
წლის განმავლობაში გაუფასურების (რეზერვის შემობრუნება)/რეზერვი	(2)	10
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	19	21

9 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2020	2019
ფულადი სახსრები გზაში	15	36
მოთხოვნამდე გადასახდელი საბანკო ნამთები	204	54
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	219	90

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები ინახება საქართველოს ორ საუკეთესო ბანკში, რომელთა რეიტინგი Moody-ს სარეიტინგო სისტემით არის Ba3. გამოხატვის ვალუტასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხილეთ მე-16 შენიშვნა.

10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 300 ლარით (169 აშშ დოლარი), რისი შენატანიც 2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად განხორციელდა.

11 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2020	2019
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ (18-ე შენიშვნა)	2,413	1,866
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მესამე მხარეების მიმართ	173	248
სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებში შესული მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	2,586	2,114
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების დარიცხული ხარჯი	179	111
მიღებული ავანსები	15	11
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,780	2,236

კომპანიის სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება ლარშია გამოხატული. მარაგების უმეტესობის შეძენისა და საქართველოს ტერიტორიაზე მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილის საკრედიტო პერიოდი 30-დან 90 დღემდეა. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დაუფარავ ნაშთზე პროცენტი არ ირიცხება.

12 შემოსავალი

კომპანია შემოსავალს მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან იღებს საქონლის დროის გარკვეულ მომენტში გადაცემის შედეგად:

	2020	2019
საქონლის რეალიზაცია	15,578	20,923
სხვა	89	22
სულ შემოსავალი გაყიდვებიდან	**15,667**	**20,945**

13 დისტრიბუციის ხარჯები

	2020	2019
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	1,506	1,196
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	1,262	1,302
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,026	809
ტრანსპორტირების ხარჯი	240	312
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	98	140
სხვა	101	87
სულ დისტრიბუციის ხარჯები	**4,233**	**3,846**

14 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების ხარჯი	831	980
ოფისთან დაკავშირებული ხარჯები	89	152
სხვა	218	310
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	**1,138**	**1,442**

15 პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყებების მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დაკისრების უფლება. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება სხვა ბევრ ქვეყანაზე არსებითად უფრო მაღალი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება კომპანიის განმარტებებისგან განსხვავდებოდეს და, მათი წარმატებით აღსრულების შემთხვევაში, შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

15 პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

16 ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

კაპიტალის რისკის მართვა – კომპანია არის კომპანიების დიდი ჯგუფის ნაწილი, რომელსაც აკონტროლებს შპს „რისა ინვესტმენტს“ (კვიპროსი). კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა ჯგუფის დონეზე და მიიჩნევა დიდი ჯგუფის კაპიტალის მართვის პროცენტის ნაწილად. კომპანიაზე არ ვრცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

სავალუტო რისკი – სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც კომპანიის ფინანსური შედეგები მოექცევა უარყოფითი გავლენის ქვეშ იმ გაცვლითი კურსების ცვლილებებით, რომლის წინაშეც კომპანია დგას. კომპანიის გარკვეული ოპერაციები უცხოურ ვალუტებშია გამოხატული. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის სამართავად. ამავდროულად კომპანიის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკის შემცირებას თავისი ფულადი აქტივების და ვალდებულებების უცხოურ ვალუტაში მართვით ერთსა და იმავე (მეტნაკლებად სტაბილურ) დონეზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდების ბოლოსთვის:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ-ლებები	ნეტო პოზიცია
ლარი	1,569	(2,736)	(1,167)	1,650	(2,207)	(557)

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. მიიჩნევა, რომ ინვესტიციები კაპიტალში და არაფულად აქტივებში არ წარმოშობს არსებით სავალუტო რისკს.

16 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია:

	2020	2019
ლარის გამყარება 10%-ით	(117)	(56)
ლარის გაუფასურება 10%-ით	117	56

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავარი გაცვლითი კურსი, რომელიც გამოიყენება უცხოურ ვალუტაში ნაშთების კონვერტაციისთვის, იყო 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი და ევრო = 4.0233 ლარი (2019 წ.: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი და 1 ევრო = 3.2095 ლარი), დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის („სეგ“) მიერ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი – საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული მოგების შემცირებით. კომპანიას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რისკი უმნიშვნელოა კომპანიის სამეურნეო საქმიანობისთვის. კომპანიას არ აქვს არც პროცენტიანი აქტივი და არც ვალდებულება, უმნიშვნელო საიჯარო ვალდებულების გარდა.

საკრედიტო რისკი – კომპანიას გააჩნია მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკის კომპანიას ექმნება პროდუქტების კრედიტით რეალიზაციის და კონტრაჰენტებთან სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას. კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა ასახულია ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

ახალი კლიენტის აყვანამდე კომპანია იყენებს შიდა საკრედიტო სისტემას პოტენციური კლიენტის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად თითოეული კლიენტისთვის ინდივიდუალურად.

კომპანიის მაქსიმალურის საკრედიტო რისკი აქტივების კლასების მიხედვით ასე გამოიყურება:

	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო დებიტორული ანგარიშები (8 შენიშვნა)	1,350	1,560
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (9 შენიშვნა)	219	90
საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა, სულ	**1,569**	**1,650**

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიის ბიზნესისთვის უმნიშვნელოვანესი რისკია, ამიტომ ხელმძღვანელობა ამ რისკის მართვას სიფრთხილით ეკიდება.

საკრედიტო რისკის შეფასება, მისი მართვის მიზნით, კომპლექსური პროცესია და გულისხმობს მოდელების გამოყენებას, ვინაიდან რისკი იცვლება საბაზრო პირობების, მოსალოდნელი ფულადი ნაკადების და დროის გასვლის შესაბამისად. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება გულისხმობს დეფოლტების დადგომის ალბათობის, შესაბამისი ზარალიანობის კოეფიციენტების და კონტრაჰენტებს შორის დეფოლტის კორელაციების საფუძვლიან განსაზღვრას.

ლიმიტები. კომპანია საკრედიტო რისკების დონეებს განსაზღვრავს ლიმიტების დაწესების გზით რისკის იმ მოცულობაზე, რომელიც მზადაა მიიღოს კონტრაჰენტებზე ან კონტრაჰენტების ჯგუფზე. საკრედიტო რისკის დონეზე დაწესებული ლიმიტები რეგულარულად მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ. საკრედიტო რისკების მონიტორინგი ხდება სისტემატურად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

16 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო ლიმიტებს აანალიზებს და ამტკიცებს ხელმძღვანელობა. საკრედიტო რისკის მოცულობის შესაფასებლად, სტრუქტურული ანალიზის საფუძველზე მზადდება რეგულარული ანგარიშები კლიენტის საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე მომხმარებლებთან ყოველგვარი მნიშვნელოვანი ურთიერთობის შესახებ გადასახედად ეცნობება ხელმძღვანელობას. კომპანიის ხელმძღვანელობა ეცნობა კონტრაჰენტების ფინანსურ შედეგებს და ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

გარდა ამისა, კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გადასაყიდი საქონლის მესამე მხარეებზე რეალიზაციით საავანსო გადახდის პირობით ან აკრედიტივის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ინახება საქართველოს ორ წამყვან ბანკში, რომელთა საკრედიტო ხარისხის მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოწოდებულია დამოუკიდებელი საკრედიტო რეიტინგების სააგენტოსგან – Moody's (მე-9 შენიშვნა).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დონეები ეყრდნობა გაყიდვებზე გადახდების მაჩვენებლებს 36-თვიანი პერიოდის განმავლობაში 2020 წლის 31 დეკემბრამდე და ამ პერიოდში ისტორიულ საკრედიტო ზარალებს. ისტორიული ზარალების მაჩვენებლები კორექტირდება, რათა ასახოს მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაცია იმ მაკროეკონომიკური ფაქტების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე. რადგანაც ყველა სავაჭრო მოთხოვნა ადგილობრივი კლიენტებისგან არის, კომპანიამ განახორციელა საქართველოს მაკროეკონომიკური სცენარებისა და შესაბამისი წონის ანალიზი სებ-ის პუბლიკაციის მიხედვით. კომპანიამ გამოავლინა, რომ საქართველოს მშპ და ლარი/აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი ყველაზე რელევანტური ფაქტორებია და შესაბამისად დააკორექტირა ისტორიული საკრედიტო ზარალის განაკვეთები ამ ფაქტორებში მოსალოდნელ ცვლილებებზე დაყრდნობით.

ისტორიული საკრედიტო ზარალი არ არსებობდა წინასწარგანსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. შედეგად, გამოთვლილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო. აქედან გამომდინარე, საპროგნოზო ინფორმაცია განისაზღვრა, როგორც უმნიშვნელო.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია – კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო მოთხოვნებისთვის, რადგანაც კომპანიის სამეურნეო საქმიანობის სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ თავი აარიდოს საკრედიტო გაყიდვებს, გაყიდვების უმეტესობა ავანსად გადახდის პირობებით ხორციელდება და სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები მუდმივად ნარჩუნდება დაბალ დონეზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავდა სამი კონტრაჰენტი (2019 წ.: 2 კონტრაჰენტი), რომელთა მიმართ მოთხოვნების ნაშთი 100 აშშ დოლარს აღემატებოდა. სულ ამ ნაშთების აგრეგირებული ოდენობა იყო 376 აშშ დოლარი (2019 წ.: 553 აშშ დოლარი) ანუ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საერთო თანხის 27% (2019 წ.: 35%).

საანგარიშგებო პერიოდების ბოლოსთვის კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% მხოლოდ ორ ბანკში იყო განთავსებული (9 შენიშვნა).

ლიკვიდურობის რისკი – ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მათი დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადების მიხედვით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე უახლოესი თარიღის მიხედვით, რომლითაც შეიძლება ჯგუფს მოეთხოვოს გადახდა. ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირითადი თანხის გადახდებს.

16 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	1-6 თვე	7 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი, მაგრამ 2 წელზე ნაკლები	2 წელზე მეტი, მაგრამ 5 წელზე ნაკლები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერს					
სავაჭრო ვალდებულებები	2,780	–	–	–	2,780
საიჯარო ვალდებულებები	69	23	24	53	169
სულ	**2,849**	**23**	**24**	**53**	**2,949**
2019 წლის 31 დეკემბერს					
სავაჭრო ვალდებულებები	2,236	–	–	–	2,236
საიჯარო ვალდებულებები	48	41	41	–	130
სულ	**2,284**	**41**	**41**	**–**	**2,366**

საბაზრო რისკი – კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია (ა) უცხოურ ვალუტაში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, (გ) წილობრივ პროდუქტებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებას ერთ ფაქტორში, როდესაც ყველა დანარჩენი ფაქტორი მუდმივია. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და გარკვეულ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსების ცვლილება.

17 სამართლიანი ღირებულების განმარტებითი შენიშვნები

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ლი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე - ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ე.ი. არადაკვირვებადი ამოსავალი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

2020 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდებოდა მათ საბალანსო ღირებულებას.

18 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მიმდინარე ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან ასე გამოიყურებოდა:

	ურთიერთობა	31 დეკემბერი, 2020 წ.	31 დეკემბერი, 2019 წ.
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები	2,413	1,866

სავაჭრო დავალიანებები დაკავშირებული მხარეების მიმართ შეძენის დღიდან ორ თვეში დასაფარი და უპროცენტოა.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირებისგან მზა პროდუქციის შესყიდვებმა შეადგინა 11,117 აშშ დოლარი, დღგ-ის ჩათვლით (2019 წ.: 16,369 აშშ დოლარი).

ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი კომპენსაცია სრული განაკვეთით აღმასრულებელი ხელმძღვანელობის თანამდებობებზე მომსახურების გაწევისთვის შედგება სახელშეკრულებო ხელფასებისა და ბონუსებისგან 453 აშშ დოლარის ოდენობით (2019 წ.: 315 აშშ დოლარი).

IDS BORJOMI
GEORGIA

შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისი“

მმართველობითი ანგარიშგება – 2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა

1. კომპანია, მისი განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

ზოგადი ინფორმაცია. შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2011 წლის 21 თებერვალს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404888528.

კომპანიის ერთადერთი მფლობელია აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ. ვი. („მშობელი კომპანია“), რომელიც კომპანიის უშუალო მშობელი კომპანიაა.

აი დი ეს ბორჯომი ბევერიჯის კო. ენ. ვი. ფლობს სხვადასხვა შვილობილ საწარმოს საქართველოში, აზერბაიჯანში, ლიეტუვაში, ყაზახეთში და ა.შ., რაც ერთობლიობაში წარმოადგენს „აი დი ეს ბორჯომი გრუფს“ (შემდგომში „ჯგუფი“). შპს „აი დი ეს ბორჯომი ჯგუფის“ ძირითადი საქმიანობა „ბორჯომის“ და „ლიკანის“ ბრენდების ქვეშ არსებული ნატურალური მინერალური წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუციაა, აგრეთვე სხვა ნატურალური თუ დამუშავებული წყლის ჩამოსხმა და დისტრიბუცია საქართველოში, უკრაინასა და დსთ-ს სხვა ქვეყნებში. ჯგუფი ამუშავებს ჩამომსხმელ ობიექტებს საქართველოში და სადისტრიბუციო კომპანიებს საქართველოში, ლიეტუვაში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში. ჯგუფი ლიცენზირებულია ბორჯომის ხეობისა და საქართველოში არსებული სხვა წყაროებიდან მიღებული წყლის გამოყენებაზე.

ძირითადი საქმიანობა და შეთავაზებული საქონლის პორტფელი შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისი“ უკვე ცხრა წელია, რაც საქმიანობს მინერალური და წყაროს წყლის სეგმენტში საქართველოში და ეწევა ისეთი ცნობადი და სახელგანთქმული ბრენდების რეალიზაციას, როგორიცაა „ბორჯომი“ და „ლიკანი“, ასევე წყაროს წყალი „ბაკურიანი“. კომპანია ინარჩუნებს წამყვან პოზიციას ქართულ ბაზარზე და თანდათანობით ზრდის თავის საბაზრო წილს. კომპანია ფლობს საკუთარ სადისტრიბუციო არხს და გაყიდვებს ახორციელებს უშუალოდ საბოლოო საცალო მოვაჭრეებზე, შუამავლების გარეშე.

გაყიდვები ხდება სხვადასხვა პაკეტებსა და მოცულობებში. ამჟამად ჩვენი საქმიანობა მოიცავს თბილისსა და მიმდებარე ტერიტორიას ქვემო ქართლს, სამცხე-ჯავახეთს, კახეთის ნაწილს, მცხეთა-მთიანეთსა და აჭარის რეგიონს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ქართულ ბაზარზე საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა. კლებამ შეადგინა 25%.

შემოსავლის შემცირება, ძირითადად, რამდენიმე ფაქტორით არის გამოწვეული:

- საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში წარმოებული საქონლის რაოდენობის შემცირება, რაც დაკავშირებულია მთლიანად ბორჯომის ჯგუფის გაყიდვების შემცირებით;
- COVID-19-ის გავლენა, და ა.შ.

2019 წლისა და 2020 წლის შემოსავალი პროდუქტების მიხედვით აშშ დოლარში:



2. საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები;

კომპანიის სტრატეგია არ უკავშირდება რომელიმე საექსპორტო გაყიდვებს. ამის ნაცვლად ის ორიენტირებულია მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში საბაზრო წილის გაზრდაზე.

2021 წლის მთავარი მიზნები უკავშირდება 2020 წლის საოპერაციო და ფინანსური შედეგების გაუმჯობესებას. ეს კი მიიღწევა გაყიდვების გეოგრაფიული არეალის გაფართოებით, რაც იძლევა გაყიდვებისა და ოპერაციების (თანამშრომლები და საწყობები) ზრდის გარანტიას. გარდა ამისა, კომპანიის ოპერაციების ანალიზი ყოველთვის გვკარნახობს მომხმარებლების ახალ მოთხოვნებს, რაც შეიძლება მოიცავდეს ახალი პროდუქტების შექმნას ან უკვე არსებული პროდუქტების განახლებას. კომპანიის მიზანია გახდეს ჯგუფის პროდუქტების ერთადერთი დისტრიბუტორი საქართველოში.

3. კორპორაციული მართვა

კოდექსის დანერგვის მიმოხილვა:

კორპორაციული მართვის მაღალი დონის სტანდარტების დაცვა პრიორიტეტულია სამეთვალყურეო საბჭოსთვის. ჯგუფი იცავს კორპორაციული მართვის მაღალი დონის სტანდარტებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კარგად იცნობენ ჯგუფის წესდების სტანდარტებს.

აქციონერთა საერთო კრება, რომელიც არის კომპანიის უზენაესი მართვის ორგანო საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიის წესდების თანახმად, უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, სხვებთან ერთად, შემდეგ საკითხებზეც:

• ცვლილებები კომპანიის წესდებაში;

• კომპანიის რეორგანიზაცია, შერწყმა, გამოყოფა და გადაცემა სხვა იურიდიული პირისთვის, ლიკვიდაცია;

• სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნა;

• სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ეთიკის კოდექსის შემუშავება;

• დირექტორის ანგარიშისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;

• სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების გეგმის შედგენა;

• გარე აუდიტორის არჩევა, წლიური ანგარიშების დამტკიცება

მმართველობითი ორგანო

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს ყველა მთავარი გადაწყვეტილება. იგი ირჩევს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის დირექტორის დანიშვნასა და მისი საქმიანობის ზედამხედველობაზე. კომპანიის დირექტორს ევალება კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მართვა, გარდა იმ ფუნქციებისა, რომლებიც ექცევა აქციონერთა საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში.
სამეთვალყურეო საბჭო და შესაბამისი კომიტეტები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის გრძელვადიანი მიზნების დადგენასა და სწორი პრიორიტეტების განსაზღვრაზე. საბჭოს ასევე ევალება რისკის მართვა და შემცირება.
სამეთვალყურეო საბჭო შედგება თორმეტი წევრისგან.
სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეინარჩუნოს გამოცდილების, დამოუკიდებლობის, სხვადასხვა უნარისა და ცოდნის სწორი ბალანსი საბჭოში, რათა მიაღწიოს კორპორაციული მართვის უმაღლეს დონეს. მიგვაჩნია, რომ საბჭოს ზომა და შემადგენლობა ოპტიმალურია დასახული მიზნების მისაღწევად.
საბჭოს აქვს წევრების შერჩევისა და დანიშვნის ოფიციალური და გამჭვირვალე პროცესი. საბჭოს მიზანია იყოს კარგად დაბალანსებული და იდეალურად ერგებოდეს ბიზნესის ინტერესებს. ჯგუფი მუდმივად ცდილობს უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციის აღმოფხვრას. სამეთვალყურეო საბჭო წაახალისებს ყოველგვარი დივერსიფიკაციას, რაც ასახულია მისი დივერსიფიკაციის პოლიტიკაში. ახალი დირექტორის დანიშვნისას მხედველობაში მიიღება დივერსიფიცირებული უნარები, ცოდნა, ეროვნება, რელიგიური კუთვნილება და სხვა ფაქტორები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრის დანიშვნისას გადაწყვეტილება ყოველთვის მიიღება კანდიდატის ღირსებებზე დაყრდნობით.
ფინანსური ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლები და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გამოყენებული სხვადასხვა პოლიტიკა (დივერსიფიკაციის პოლიტიკის ჩათვლით) წარმოდგენილია ამ დოკუმენტის „არაფინანსური ანგარიშგების“ თავში.

4. არაფინანსური ანგარიშგება.

გარემოსდაცვითი პოლიტიკა:

ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კომპანიის საქმიანობა აისახება გარემოზე და ამ საკითხს ძალიან სერიოზულად ვეკიდებით. ამ მიზნით კომპანიას შექმნილი აქვს გარემოს დაცვის დირექტივა, რომელიც საგანგებოდ არის მიმართული გარემოსდაცვითი საკითხებისკენ.

ჯგუფი ყოველმხრივ ცდილობს, რომ თავისი ბიზნესსაქმიანობა გარემოს დაცვის და სოციალური თვალსაზრისით პასუხისმგებლობიანი და მდგრადი იყოს, რათა შეასუსტოს თავისი ოპერაციების ზეგავლენა გარემოზე და ამავდროულად გააუმჯობესოს სოციალური შედეგები, რათა გაზარდოს გრძელვადიანი უკუგება თავისი აქციონერებისთვის. ჯგუფი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის განხორციელებით ცდილობს უზრუნველყოს, რომ თავისი კლიენტები და მომხმარებლებიც ასრულებდნენ თავიანთ გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება ჩვენს მომხმარებლებსა და კლიენტებს, ჯგუფი მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, და შრომით რეგულაციებთან შესაბამისობას და

ჯანსაღი გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის და უსაფრთხოების, და შრომითი პრაქტიკის გამოყენებას ეფექტური კორპორაციული მართვის დემონსტრირების მნიშვნელოვან ფაქტორებად მიიჩნევს.

გარემოზე საზიანო ზემოქმედების რისკი შეიძლება საგრძნობლად შემცირდეს პროცესების სათანადო მართვით.

ჩვენ შემოვიღეთ ნარჩენების ეფექტური მართვის სისტემა. თანამშრომლები ავსებენ სპეციალურ ფორმებს ყოველდღიურად და ყოველკვირეულად, სადაც მიუთითებენ ნარჩენების ტიპს, წონას და ტრანსპორტირების ფორმას. ჯგუფი ამ საკითხზე შიდა ტრენინგებს ატარებს.

ზიანის შესამცირებლად ჯგუფი იყენებს კონტრაქტორ კომპანიას, რომელიც სპეციალიზებულია ბუნებრივი ნარჩენების გადაყრაში.

ჩვენ მუდმივად ვცდილობთ მინიმუმამდე დავიყვანოთ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, რომელიც შეიძლება ჩვენმა საქმიანობამ გამოიწვიოს.

ადამიანის უფლებები

ჩვენ ვაღიარებთ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. ჯგუფს თავისი თანამშრომლებისთვის შექმნილი აქვს უსაფრთხო სამუშაო გარემო, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ვრცელდება აგრეთვე მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე.

ჩვენი შინაგანაწესი ამ საკითხს პრიორიტეტულობას ანიჭებს და ჯგუფში ადგენს გარკვეულ კონტროლის მექანიზმებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა სფეროში იყოს დაცული.

ანტიკორუფციული პოლიტიკა:

ჯგუფი ცდილობს იმოქმედოს ეთიკურად. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამღუპველი ზეგავლენა აქვს როგორც მთლიან ეკონომიკაზე, ისე ბიზნესსა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის მიხედვით დაუშვებელია ქრთამის გადაცემა, შეთავაზება ან გადახდა, ან ზემოაღნიშნული ქმედებების რამენაირი წახალისება.

დივერსიფიკაციის პოლიტიკა:

კომპანია გამუდმებით ცდილობს უკანონო და უსამართლო დისკრიმინაციის აღმოფხვრას და აფასებს იმ განსხვავებებს, რასაც ქმნის დივერსიფიცირებული სამუშაო ძალა ორგანიზაციაში. საბჭოში ახალი დირექტორის დანიშვნისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში მიიღება უნარების, გამოცდილების, ტექნიკური კომპეტენციის, ეროვნების, ეთნიკური წარმომავლობის და სქესის დივერსიფიკაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საბჭოში დანიშვნა ყოველთვის მოხდება ღირსებების საფუძველზე.

მექრთამეობასთან ბრძოლის პოლიტიკა:

ჯგუფში არასდროს არ უნდა მოხდეს ქრთამების შეთავაზება, გადახდა, მოთხოვნა, გადაცემა ან მიღება, ანდა ქრთამების შეთავაზებისა თუ გადახდის ხელშეწყობა, მასში დახმარება ან თანამონაწილეობა და მათი გადახდის ყოველგვარი მოთხოვნა უნდა იქნეს უარყოფილი.

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების/გასაყიდი პუნქტების შესახებ

საწარმოს არ აქვს ოფიციალური ფილიალები. კომპანია თავის ოპერაციებს მართავს სხვადასხვა ლოგისტიკური და სადისტრიბუციო პუნქტის (საწყობები) გამოყენებით მთელი ქვეყნის მასშტაბით:

- მთავარი საწყობი მდებარეობს თბილისში, რომელიც არის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სადისტრიბუციო ოპერაციების და მიწოდების საწყისი პუნქტი;

- ბათუმში, აჭარაში მდებარე საწყობი გამოიყენება აჭარის მთელ რეგიონში და ქვეყნის დასავლეთ ნაწილში დისტრიბუციისთვის;
- ქალაქ ბორჯომში მდებარე საწყობი გამოიყენება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მიწოდებისთვის.

სხვადასხვა ლოგისტიკური და სადისტრიბუციო პუნქტის შექმნის მიზანი იყო მომხმარებელთა მომსახურების ერთიანი სტანდარტის შემოღება და რეგიონებთან დარგის წარმატებული გამოცდილების გაზიარება, რომელიც კომპანიას წლების განმავლობაში დაუგროვდა.

6. კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულია კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

ათას აშშ დოლარში	**2020**	**2019**
შემოსავალი	15,667	20,945
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(11,209)	(16,363)
საერთო მარჟა	28%	22%
სულ აქტივები	3,684	4,200
სულ საკუთარი კაპიტალი	754	1,871

<u>ძირითადი ცვლილებების განმარტება:</u>

1. გაყიდული საქონლის თვითღირებულების შემცირება გამოწვეული შემოსავლების შემცირებით (გაყიდული პროდუქტების რაოდენობა). შემოსავლის შემცირების განმარტება მოცემულია ზემოთ, პირველ აბზაცში.
2. მთლიანი კაპიტალის შემცირება გამოიწვია 2020 წლის წმინდა ზარალმა.

არაფინანსური მაჩვენებლები

*(i) ურთიერთობა თანამშრომლებთან.*შპს „აი დი ეს ბორჯომი თბილისის“ თანამშრომლების რაოდენობა 200-დან 250-მდეა. კომპანიას აქვს კარგად სტრუქტურირებული კადრების შერჩევის პოლიტიკა და მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების აყვანა ხდება კომპანიის მიერ.

როგორც დამსაქმებელი, კომპანია თანამშრომლებს უზრუნველყოფს ინსტრუმენტებს და შესაბამის საკვალიფიკაციო ტრენინგებს, რათა მათ შეძლონ მომხმარებლების მაღალ დონეზე მომსახურება. კომპანია მშრომელ და მიზანდასახულ ადამიანებს სთავაზობს დაწინაურების შესანიშნავ შესაძლებლობას, დადებით სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს. ამავდროულად თანამშრომელთა უფლებებს იცავს და ყურადღებით აკონტროლებს კომპანიის შესაბამისი განყოფილებები.

*(ii) ურთიერთობა მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან.*კომპანიას წლების განმავლობაში ყურადღებისა და პროფესიონალიზმის გამოვლენის შედეგად მტკიცე საქმიანი ურთიერთობა აქვს დამყარებული მომხმარებლებთან, რისი წყალობითაც იშვიათია საქონლის დაბრუნების და/ან მომხმარებლის უკმაყოფილების შემთხვევები.

კომპანიის მთავარი მომწოდებელი არის „აი დი ეს ბორჯომი საქართველო“, „აი დი ეს ბევერიჯის კო. ენ. ვი.-ის“ ქართული ფილიალი, რომელიც არის დაკავშირებული მხარე, თუმცა ოპერაციები ხორციელდება სათანადო პროფესიულ ჩარჩოებში და სათანადო სიფრთხილით.

*(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან.*კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა გამართული და ეფექტურად მართულია.

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგს, რათა ფეხი აუწყონ საგადასახადო კანონმდებლობაში შესულ ისეთ ცვლილებებს, რომლებსაც გავლენა აქვს კომპანიაზე.

კომპანიას უმნიშვნელო დავების ისტორია აქვს საგადასახადო ორგანოებთან და არ დაჰკისრებია მნიშვნელოვანი ჯარიმა და/ან საურავი.

ცვლილებები სხვა არაფინანსურ მაჩვენებლებში 2019 წლიდან 2020 წლამდე:

- პროდუქტების პორტფელის რაოდენობის ზრდა.

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

ჯგუფს დანერგილი და გამოყენებული აქვს სხვადასხვა პოლიტიკა, რომლებიც განხილულია ამ ანგარიშში.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, რომლის მიზანიც არის გარემოზე უარყოფით გავლენის რისკის მნიშვნელოვნად შემცირება.

ე.წ. „განგაშის ატეხის“ და კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკების მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე დაყვანა. „განგაშის ატეხის“ პოლიტიკის თანახმად, თანამშრომელს შეუძლია ანონიმურად წამოჭრას ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულ ფუნქციონირებასთან და სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხები. თითოეული საქმე დეტალურად განიხილება და, სამეთვალყურეო საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურად ხორციელდება ჯგუფის ფარგლებში.

ჩვენ ვაღიარებთ ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. ჩვენი კორპორაციული პოლიტიკის თანახმად, თანამშრომლები უნდა მუშაობდნენ სამართლიან და თანასწორ გარემოში და ეს პრინციპი ყოველმხრივ დაცულია.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტის ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ვაფასებთ ჯგუფის მასშტაბით ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს და სამეთვალყურეო საბჭოს ვეხმარებით მსგავსი საკითხების მონიტორინგსა და კონფლიქტის დასაშვებობის განსაზღვრაში.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თანხების დამატებითი განმარტება

ბაზარზე კომპანიის წამყვან პოზიციას და მძლავრ ფინანსურ შედეგებს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებს:

- *მუდმივი განვითარება, ზრდა და წარმატებისკენ სწრაფვა:* 2020 წელს საწარმოს მიერ გაყიდული პროდუქტების სიას დაემატა ბაკურიანი 0.5 ლ. პოლიეთილენის ბოთლში, გაზიანი, ლიკანი 0.33 ლ. თუნუქის ქილაში, ვაშლის, ტარხუნის არომატით, ლიკანი 0.33 ლ. თუნუქის ქილაში, ალუბლის, ბროწეულის არომატით და ლიკანი 0.33 ლ. თუნუქის ქილაში, ატმის, ფორთოხლის არომატით.
- *კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლი:* კომპანიის ხელმძღვანელობას აქვს ამ სფეროში მოღვაწეობის საკმარისი გამოცდილება და 100%-ით ჩართულია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც იძლევა ბიზნესში ცვლილებებისთვის ფეხის აწყობისა და მოქნილობის საშუალებას.
- *ბრენდის სიმტკიცე და რეპუტაცია.*

8. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები

საკრედიტო რისკები. კომპანიას გააჩნია მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ, რაც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკის კომპანიას ექმნება

პროდუქტების კრედიტით რეალიზაციის და კონტრაჰენტებთან სხვა ოპერაციების გამო, რაც იწვევს ფინანსური აქტივების წარმოქმნას.

კომპანიის ხელმძღვანელობას დანერგილი აქვს მთელი რიგი კონტროლის პროცედურები და პროცესები, რათა შეინარჩუნოს ჯანსაღი სადებეტო ნაშთი, განსაზღვროს რისკ-ფაქტორები და მათზე დროული რეაგირება მოახდინოს. ხელმძღვანელობა დებიტორული დავალიანების ნაშთს გამუდმებით დაბალ დონეზე ინარჩუნებს და დარეზერვებას და ჩამოწერას იშვიათად ახორციელებს.

ზოგადი ეკონომიკური სიტუაცია ბაზარზე.თუ გავითვალისწინებთ, რომ საქონელს ჰყიდის მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე, მისი სამომავლო შედეგები პირდაპირ უკავშირდება რეგიონში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას. მომხმარებელთა მყიდველობითი უნარის შემცირებამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის შემოსავლების კლება.

კონკურენტები.ახალი ბრენდების ან ამავე სექტორში მოქმედი მსხვილი უცხოური კომპანიების შემოსვლა ბაზარზე კომპანიისთვის რისკს წარმოადგენს. ამ რისკის შესამცირებლად კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად ცდილობს ერთგული მომხმარებლების რაოდენობის ზრდას მაღალი ხარისხის პროდუქტების, თანამედროვე მომსახურების, სხვადასხვა სოციალური პასუხისმგებლობის აქტივობის და სხვ. შეთავაზებით.

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო მოთხოვნებისთვის, რადგანაც კომპანიის სამეურნეო საქმიანობის სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ თავი აარიდოს საკრედიტო გაყიდვებს, გაყიდვების უმეტესობა ავანსად გადახდის პირობებით ხორციელდება და სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები მუდმივად ნარჩუნდება დაბალ დონეზე.

საანგარიშგებო პერიოდების ბოლოსთვის კომპანიის მიმდინარე ანგარიშების 100% მხოლოდ ორ ბანკში იყო განთავსებული.

საბაზრო რისკი. კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია (ა) უცხოურ ვალუტაში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, (გ) წილობრივ პროდუქტებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც კომპანიის ფინანსური შედეგები მოექცევა უარყოფითი გავლენის ქვეშ იმ გაცვლითი კურსების ცვლილებებით, რომლის წინაშეც კომპანია დგას. კომპანიის გარკვეული ოპერაციები უცხოურ ვალუტებშია გამოხატული. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების მართვით ამავე (მეტ-ნაკლებად სტაბილურ) დონეზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი.პროცენტულ განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც აისახება მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული მოგების შემცირებით. კომპანიას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ რისკი უმნიშვნელოა კომპანიის სამეურნეო საქმიანობისთვის. კომპანიას არ აქვს არც პროცენტიანი აქტივი და არც ვალდებულება, უმნიშვნელო საიჯარო ვალდებულების გარდა.

ლიკვიდურობის რისკი.ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ექვემდებარება მოთხოვნამდე ან ერთ თვემდე ვადაში გადახდას.

COVID-19.2020 წლის პირველ თვეებში ახალი დაავადება, COVID-19, რომელიც გამოიწვია ჩინეთში დაფიქსირებულმა ახალმა კორონავირუსმა, მთელ მსოფლიოში გავრცელდა და შეაფერხა ბიზნესსაქმიანობა და ეკონომიკა. 2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაავადება პანდემიად აღიარა. ვირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინა მთელი მსოფლიოს ეკონომიკაზე, კაპიტალის ბაზრებზე ფასების ვარდნისა და სასაქონლო ფასების მკვეთრი კლების ჩათვლით.

2020 წლის მარტში მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობამ (მათ შორის ყველა ქვეყანამ, რომელშიც ჯგუფი საქმიანობს) სხვადასხვა შეზღუდვა შემოიღო ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ყველაზე გავრცელებულ შეზღუდვას წარმოადგენდა კარანტინი, მაგალითად, საზოგადოებრივი და კერძ ტრანსპორტის და საჰაერო მიმოსვლის აკრძალვა გარკვეულ ქვეყნებს შორის, საჯარო დაწესებულებების მუშაობის შეზღუდვა, საჯარო სივრცეების უმეტესი ნაწილის დახურვა, საკვები პროდუქტების მაღაზიების გარდა, ყველა ან თითქმის ყველა მაღაზიის ჩათვლით. სახელმწიფოები ბიზნესებს მოუწოდებენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლისკენ.

ამასთან, ზოგიერთმა ქვეყანამ, განსაკუთრებით, უკრაინამ და მოგვიანებით რუსეთმა, მიიღო კანონები, რომელთა მიზანიც არის ბიზნესზე კორონავირუსის უარყოფითი გავლენის შერბილება, და რომლებიც მოიცავდა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის ჯარიმებისგან გათავისუფლებას, დეკლარაციების სავალდებულო წარდგენის გადავადებას, გარკვეული ბიზნესებისთვის სესხების სუბსიდირებას და ა. შ.

პანდემიაზე რეაგირების მიზნით საქართველოს მთავრობამ შემოიღო მრავალი ზომა, რომლებიც მიზნად ისახავდა COVID-19-ის გავრცელებისა და გავლენის შეკავებას. ამ ზომებს შორის იყო: აკრძალვები მოგზაურობაზე და შეზღუდვები, მასობრივი ჩაკეტვები და ბიზნესსაქმიანობის აღკვეთა, ბიზნესები დახურვის ჩათვლით. ზემოაღნიშნული ზომები ძალაში დარჩა თითქმის მთელი 2020 წლის განმავლობაში. ამ ზომებმა, სხვა შედეგებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეზღუდა საქართველოში ეკონომიკური საქმიანობა და უარყოფითად იმოქმედა (და შეიძლება მომავალშიც იმოქმედოს) ბიზნესებზე, ბაზრის მონაწილეებზე, ჯგუფის კლიენტებზე, ასევე საქართველოს და გლობალურ ეკონომიკაზე განუსაზღვრელი ვადით.

კომპანიამ მხედველობაში მიიღო მომავლის შესახებ ხელმისაწვდომი სრული ინფორმაცია, მათ შორის COVID-19-ის პანდემიის გავლენა მომხმარებლებზე, მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე, და ასევე განიხილა სხვადასხვა ფაქტორების ფაქტობრივი და პროგნოზირებული განჭვრეტადი გავლენა. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ყველა საჭირო ზომას იღებს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად და გააგრძელებს სიტუაციის ყურადღებით მონიტორინგს, და დამატებითი ზომების საჭიროების შეფასებას იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის შეფერხება გაგრძელდება, ან უფრო დამძიმდება.

შენიშვნა: კომპანია არ იყო ჩართული კვლევა-განვითარების საქმიანობაში პერიოდის განმავლობაში და არ მომხდარა კომპანიის საკუთარ აქციების შესყიდვა.*

გიორგი ერაძე
დირექტორი

26 ოქტომბერი, 2021 წ.